ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5242992

ნომერი: AR1796589

თარიღი : 25.12.2020

გაცემის თარიღი : 29.12.2020

გაცნობის თარიღი : 29.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფეს ქუჩა, N 80;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ გურამიშვილი პ/ნ 01017010698
- თბილისი, მურთაზ შამუგიას ქუჩა #178

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 4519271
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 10.05.2019

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ გურამიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. სამშენებლო კომპანია "ლ ჯგუფი"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406188343
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გრიგოლ ჭანტურია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62007010108

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1000.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 684.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3465.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1670.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 556.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 279.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 279.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 376.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 303.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 12396.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 11688.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 708.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 20.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 19.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 684.9 კვ.მ. K1=(684.9 კვ.მ./1000.0 კვ.მ.=0.68)=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2916.0 კვ.მ. K2=(2916.0 კვ.მ./1000.0 კვ.მ.=2.91)=2.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 210.9 კვ.მ. K3=(210.9 კვ.მ./1000.0 კვ.მ.=0.21)=0.2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
29/05/2019 წლის № 4519271 ბრძანებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დაბალი ინტენსივობის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განსათავსებლად. 07/05/2020 წლის № 4947548 ბრძანებით შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო-საოფისე) არქიტექტურული პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 11/08/2020 წლის ბ01.012022413 ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსებისა და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის საქართველოს მთავრობის №327 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 63-ე მუხლის იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სახის ცვლილების განხორციელებაა შესაძლებელი არქიტექტურული პროექტის კორექტირების გზით და რა შემთხვევაში უნდა დაიწყოს ნებართვის გაცემის პროცედურა თავიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილების

თანახმად, სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებული ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20% მეტად ან ობიექტის ფუნქციის ცვლილება, დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან იცვლება ობიექტის ფუნქცია, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, შესაბამისად, პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით.

ასევე გაცნობებთ, აღნიშნულ განაცხადზე გადახდილი დაჩქარებული მომსახურების საფასურის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, საჭიროა შესაბამისი მოთხოვნით მომართოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და განცხადებას თან დაურთოთ ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც მოხდება თანხის დაბრუნება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.